ელენე ცხვარიაშვილი
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

გენდერული თანასწორობა – 21-ე საუკუნის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა. სასწავლო დაწესებულებების როლი საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების საქმეში

თეზისები: გენდერული თანასწორობის საკითხზე საზოგადოება საუკუნეების მანძილზე დუმდა. მეოცე საუკუნიდან კი თითქოს რაღაც წნეხი მოიხსნა და აქტუალური გახდა. ბოლო წლებში ამ საკითხზე საუბარი უფრო გამძაფრდა და ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს შეეხო.
გენდერული თანასწორობისადმი სწორი დამოკიდებულების გამომუშავებას ხელს უწყობს საზოგადობის ცნობიერების დონის ამაღლება.
კაცობრიობამ გაიარა ურთულესი პერიოდი, ვიდრე ცნობიერება „დაიბადებოდა". საჭიროა გამოღვიძება-განათლების მიღება-აზროვნება-მაღალი ცნობიერება. ძნელია ამ სოციუმში საკუთარი უფლებების დაცვა, მაგრამ გამოსავალი მაინც ესაა.
როგორ ვზრდით ბავშვებს? როგორი ხედვა უყალიბდებათ მათ? რამდენად დიდ როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში ცნობიერების ამაღლება? რამ შეიძლება შეუწყოს ხელი ცნობიერების ამაღლებას?
ცნობიერების ამაღლებაში დიდ როლს თამაშობს ოჯახი, საგანმანათლებლო სივრცე. სკოლამდელ დაწესებულებებში ბიჭებს უფრო ძლიერებად და ჭკვიანებად აღიქვამენ, ბევრ რამეს პატიობენ, ვიდრე გოგონებს. ეს კი პატარა ბავშვის ცნობიერებაში უკვე ამკვიდრებს სტერეოტიპებს. სკოლაშიც სცოდავენ პედაგოგები – უპირატესობას ვაჟებს ანიჭებენ. პედაგოგებსა და მშობლებს ძალიან ხშირად ჰგონიათ, რომ გოგონები უფრო ვერ შეძლებენ ტექნიკური კუთხით სწავლის გაგრძელებას, რადგანაც ამ სფეროში უფრო განვითარებული

უნარები ბიჭს აქვს. ამით უფრო მძაფრდება ის შეხედულება, რომ ეს საქმე გოგონებისთვის ხელმისაწვდომი არ არის.
რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სასწავლო პროგრამაში გენდერული პრობლემები ნაკლებად განიხილება.
როდესაც ოჯახში, საბავშვო ბაღში, პროფესიულ სასწავლებელში, უნივერსიტეტში როგორც პედაგოგები, ისე აღსაზრდელები, სტუდენტები, ოჯახის წევრები აღარ გააღრმავებენ თავიანთი ქმედებით სტერეოტიპულ შეხედულებებს, გაიზრდება უკვე სხვა თაობა. მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა – საჭიროა განათლება, რადგან განათლებული ადამიანი აღარ არის არავისზე დამოკიდებული. განათლებული და ძლიერი ქალი უფრო თავისუფლად მოაზროვნე თაობას გაზრდის. თანდათან წაიშლება „დომინანტ-დამოკიდებულება“ ერთმანეთის მიმართ. ეს კი ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას როგორც სოციალურ, ასევე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.
განათლება, ეს არის საზოგადოებრივი ცნობიერების დონის ამაღლების უმნიშვნელოვანესი გარანტორი. სწორედ გარეგანი ფაქტორები, საგანმანათლებლო სივრცე და ქვეყნის ჩართულობა სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში ხელს უწყობს საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლებას.

საკვანძო სიტყვები: განათლება, გენდერული თანასწორობა, 21-ე საუკუნე, საგანმანათლებლო დაწესებულებები

Abstract: Society has been silent over the issue of gender equality for centuries. Since the 20th century, some pressure has been lifted and the subject has become more intense and touched upon almost every aspect of life.
The right attitude towards gender equality contributes to the level of social awareness.
Humanity has undergone a difficult period before consciousness “was born”. It is necessary to awaken-receive education-think-have high consciousness. It is difficult to protect their rights in the social community, but there still exists the solution.
How do we raise our children? What kind of views do they establish? How big of a role does raising awareness play in a man’s life? What can contribute to raise social awareness?
Family and educational area play a major role in raising social awareness. In pre-school establishments, boys are perceived as

stronger and more intelligent and are forgiven many things than girls. This already establishes stereotypes in a little child's consciousness.
Teachers are making wrong in the school as preference is often given to boys. Teachers and parents often think that girls will not be able to continue their studies in technical terms, as the boys have more advanced skills in this field. This makes it harder to see that the case is not available for girls.
As for the higher educational institutions, with a rare exception, gender problems are less commonly discussed in the curriculum.
If Family, kindergarten, vocational college, and universities, with teachers, as well as children, students, and family members no longer deepen their stereotypical views, another generation will rise. But this is not sufficient – it is necessary to educate them first. An educated and strong woman will increase the more intelligent generation. The "dominant attitude" towards each other will gradually be eliminated.
This will facilitate the establishment of gender equality in social, political, and economic life.
Education, this is the most important guarantor of raising social awareness. External factors, educational space and state involvement in various international projects promote the level of social awareness.

Keywords: education, gender equality, 21st century, educational establishments

გენდერული თანასწორობა სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული საზოგადოების ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელია. იგი გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანაბარ პირობებს/მონაწილეობას პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების პროცესებში.

მიუხედავად ამისა, გენდერული თანასწორობა არ ნიშნავს ქალისა და მამაკაცის იგივეობას.

გენდერული თანასწორობის საკითხზე საზოგადოება საუკუნეების მანძილზე დუმდა. მეოცე საუკუნიდან კი თითქოს რაღაც წნეხი მოიხსნა და აქტუალური გახდა. ბოლო წლებში ამ საკითხზე საუბარი უფრო გამძაფრდა და ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს შეეხო.

გენდერული თანასწორობის საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების აზრი ცალსახა არ არის. ზოგი თვლის, რომ ქალის მთავრი მოვალეობა ოჯახის შექმნა, დედობა და დიასახლისობაა.

გენდერული თანასწორობა გულისხმობს როგორც მამაკაცების, ასევე ქალებისადმი სამართლიან მიდგომას. ადამიანებს აქვთ სხვადასხვა მიზანი, ღირებულება, სხვადასხვა საჭიროება, ინტერესი. მდედრობითი სქესის წარმომადგენლების ინტერესები ისევე უნდა იყოს გათვალიწინებული ყველა სფეროში, როგორც მამაკაცების. სამართლიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მამაკაცებისა და ქალების მიერ ერთი და იგივე უფლებებით, ვალდებულებებით, თანაბარი რესურსებით, შესაძლებლობებით და პასუხილმგებლობებით სარგებლობა.

ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი ჟან ჟაკ რუსო თვლიდა, რომ „ვაჟები სახელმწიფო მოღვაწეებად, მოქალაქეებად უნდა ჩამოყალიბდნენ, ხოლო გოგონები – დედებად და ცოლებად“ (ციტ. მიქაძე, *მერი უოლსტონკრაფტი*).

ზოგს მიაჩნია, რომ ეს პრობლემა საერთოდ არ არსებობს. თუმცა, საზოგადოების ნაწილი თვლის, რომ ეს სტერეოტიპები უნდა დაიმსხვრეს. გავიდა დრო, განვითარდა საზოგადოება და დღევანდელი პროგრესული მსოფლიოსთვის ჟან ჟაკ რუსოს ეს შეხედულება მისაღები აღარ არის. წარსულიდან შემონახულია ქართველ ქალთა მოღვაწეობის მრავალი ფაქტი. ცნობილია, რომ საქართველოს ისტორიაში არ არსებობდა ცხოვრების ისეთი სფერო, სადაც ქართველი ქალები არ გამოირჩეოდნენ როგორც წარმატებულები.

საქართველოს კანონმდებლობით მამაკაცი და ქალი თანაბარი უფლებებით უნდა სარგებლობდეს, მაგრამ კანონი კანონად რჩება და ცხოვრების ბევრ სფეროში კვლავ აღინიშნება უთანასწორობა ქალსა და მამაკაცს შორის (*კანონი* „გენდერული თანასწორობის შესახებ“).

დღეს, როცა კანონი, კონსტიტუცია ქალის უფლებებს იცავს, მაინც რატომაა იგი დისკრიმინაციის მსხვერპლი? ამ შემთხვევაში ქალმა უნდა იცოდეს, რომ დამნაშავე თვითონაა და არა მამაკაცი! იმიტომ, რომ ვერავინ ვერ დაჩაგრავს მას, თუ თვითონ არ დაიდებს ბორკილებს საკუთარ ხელებზე. ანუ არც მთლად ისეა, რომ მამაკაცი იყოს ყოველთვის დამნაშავე – ქალი უნდა იყოს ძლიერი. მართავს ის, ვინც ძლიერია! – ეს ადამიანის „ეგოს“ თვისებაა. აქედან გამომდინარე, თუ ქალი ძლიერია, მასაც აქვს უფლება, რომ „მართოს მამაკაცივით“ (ცხადაძე, *გენდერული უთანასწორობა, ჩაგვრა და სექსიზმი, ფემინიზმის აუცილებლობა*).

კაცობრიობამ გაიარა ურთულესი პერიოდი, ვიდრე ცნობიერება „დაიბადებოდა“. კანონით რაც არ უნდა დავავალდებულოთ

საზოგადოება, რომ პატივი სცეს ქალის უფლებებს, მაინც არაფერი გამოვა. თვითონ ქალმა უნდა დაიწყოს ბრძოლა საკუთარი უფლებებისათვის. ბრძოლა არ გულისხმობს მხოლოდ ლოზუნგებს, ანდა ბრძოლას პირდაპირი მნიშვნელობით. ბრძოლა ეს არის გამოღვიძება – განათლების მიღება – აზროვნება – მაღალი ცნობიერება. ძნელია ამ სოციუმში საკუთარი უფლებების დაცვა, მაგრამ გამოსავალი მაინც ესაა.

როგორ ვზრდით ბავშვებს? როგორი ხედვა უყალიბდებათ მათ? რამდენად დიდ როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში ცნობიერების ამაღლება? რამ შეიძლება შეუწყოს ხელი ცნობიერების ამაღლებას?

გათვიცნობიერებული მოქალაქეები და ინფორმირებულობა დემოკრატიული საზოგადოების საფუძველს წარმოადგენს და ეს კი ქვეყნის მდგრადი განვითარების წინაპირობაა.

საჭიროა ქვეყნის მაქსიმალური ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში, ინტენსიური კომუნიკაცია საერთაშორისო დონეზე და საგანმანათლებლო სივრცის ყველა დონეზე, ყველა ტიპის სასწავლო დაწესებულებაში ცნობიერების ამაღლების მიზნით პროგრამების შექმნა, მათი სასწავლო პროცესში დანერგვა და არსებულის გაუმჯობესება.

მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა აღარ არის „ჩაკეტილი“ და შეგვიძლია საზღვრებს გარეთ თავისუფალი გადაადგილება, ნათელი გახდა, თუ რა ვითარებაა დასავლეთში. რა უფლებებით სარგებლობენ ქალები ამ ქვეყნებში. თავისთავად ჩნდება სურვილი, რომ ჩვენს ქეყანაშიც უფრო მეტად განვითარდეს დემოკრატია და განვითარების იმ საფეხურს მივაღწიოთ, რომელზედაც ეს ქვეყნები დგანან. უამრავი ახალგაზრდა ღებულობს განათლებას საზღვარგარეთ. ისინი იზრდებიან განსხვავებული ღირებულებებით, რომლებიც, გვინდა თუ არ გვინდა (ზოგიერთ შემთხვევაში), ნელ-ნელა აღწევს ჩვენს ქვეყანაშიც.

ცნობიერების ამაღლებაში დიდ როლს თამაშობს ოჯახი, საგანმანათლებლო სივრცე. როცა მოზარდი იზრდება ისეთ ოჯახში, სადაც მშობლებს შორის ჰარმონიული დამოკიდებულებაა, არ შეინიშნება დედ-მამასა და ქალ-ვაჟს შორის განსხვავებული სტერეოტიპული მიდგომები, აქ საქმე უფრო კარგადაა. მაგრამ იმ ოჯახში, სადაც მამაკაცი კომფორტულად ცხოვრობს იმ იდეით, რომ ქალი მასზე დამოკიდებული არსებაა, აქ როგორც გოგონები, ასევე ვაჟები თავიდანვე ეგუებიან იმ აზრს, რომ ბიჭს მეტი შესაძლებლობები და უნარები აქვს, ვიდრე გოგონას.

სკოლამდელ დაწესებულებებშიც ხშირად იგივე სურათს ვხვდებით. ბიჭებს უფრო ძლიერებად და ჭკვიანებად აღიქვამენ, ბევრ რამეს პატიობენ. „ბიჭი ხარ, ასე რომ იქცევი?“, „გოგოსავით ნუ ტირი!“ და

მრავალი სხვა გამონათქვამი პატარა ბავშვის ცნობიერებაში უკვე ამკვიდრებს სტერეოტიპებს. 2015 წელს მიღებულია სკოლამდელი აღზრდის დოკუმენტი (*საქართველოს კანონი* ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ), რომელშიც ნათქვამია, რომ გენდერული თანასწორობის საკითხებზე ბავშვს თუ თავიდანვე თანასწორობის პირობებით აღვზრდით, შემდეგში გაცილებით გამარტივდება ამ კუთხით პრობლემასთან გამკლავება.

ოჯახთან ერთად უაღრესად დიდია სასწავლო დაწესებულებების როლი საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლების საქმეში. ყველა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებაში – სკოლამდელ, ზოგად, პროფესიულ თუ უმაღლესი განათლების დონეზე – საჭიროა სასწავლო პროგრამაში გენდერული თანასწორობის შესახებ საკითხების შეტანა. ამავე დროს, სასწავლო პროგრამებიდან აუცილებელია იმ მასალის ამოღება, რომელიც ამყარებს სტერეოტიპებს და დისკრიმინაციას ქალსა და მამაკაცს შორის.

სკოლაში ზოგჯერ პედაგოგებიც სცოდავენ მოსწავლეებთან დამოკიდებულებაში და უპირატესობას ვაჟებს ანიჭებენ. მაგალითად: „ბიჭის ტვინი გაქვს“, „ბიჭებს სულ სხვანაირი ჭკუა აქვთ“. ამ სიტყვებს უკვე სხვა კონოტაციით აღიქვამს მოსწავლე. პედაგოგებსა და მშობლებს ძალიან ხშირად ჰგონიათ, რომ გოგონები უფრო ვერ შეძლებენ ტექნიკური კუთხით სწავლის გაგრძელებას, რადგანაც ამ სფეროში უფრო განვითარებული უნარები ბიჭს აქვს. ამით უფრო მძაფრდება ის შეხედულება, რომ ეს საქმე გოგონებისთვის ხელმისაწვდომი არ არის.

საბავშვო ბაღისა და სკოლის პერიოდშიც ხშირად გავიგონებთ სხვადასხვა გამონათქვამს. საზოგადოება გაუცნობიერებლად თუ შეგნებულად ბიჭების უპირატესობას უსვამს ხაზს. გოგონები კი, ბიჭებთან შედარებით, უკეთესად სწავლობენ, არიან უფრო მოწესრიგებულები.

რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვფიქრობთ, სასწავლო პროგრამაში გენდერული პრობლემები ნაკლებად განიხილება.

როდესაც ოჯახში, საბავშვო ბაღში, პროფესიულ სასწავლებელში, უნივერსიტეტში როგორც პედაგოგები, ისე აღსაზრდელები, მოსწავლეები, სტუდენტები, ოჯახის წევრები აღარ გააღრმავებენ თავიანთი ქმედებით სტერეოტიპულ შეხედულებებს, გაიზრდება უკვე სხვა თაობა. მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა – საჭიროა განათლება, რადგან განათლებული ადამიანი არავისზე აღარ არის დამოკიდებული. ხდება ეკონომიკურად ძლიერი, არ ფიქრობს, რომ არის სუსტი, აქვს სხვა შეხედულებები. განათლებული და ძლიერი ქალი უფრო

თავისუფლად მოაზროვნე თაობას გაზრდის, იქნება თავისუფალი თავის არჩევანში, დამოუკიდებლად მიიღებს გადაწყვეტილებებს, სურვილი გაუჩნდება, ჩაერთოს სხვადასხვა პროექტში, გახდეს სოციალურად აქტიური მოქალაქე.

იშვიათია ქალი, რომელიც სხვისი დახმარების გარეშე ახერხებს, გაუძღვეს ოჯახსაც და სამსახურსაც. გარდა ამისა, მაღალკვალიფიციურ და მაღალანაზღაურებად თანამდებობებზე (სადაც აუცილებელია ქალის კარგი განათლებაც) დამსაქმებლები დედებს შეღავათს არ უწევენ. ამის გამო მათ არ რჩებათ დრო ოჯახისათვის, შვილებისათვის. ეს კი ბევრი ქალისათვის სერიოზული ბარიერია და უარს ამბობენ ამ პოზიციებზე. უკეთეს შემთხვევაში, თანხმდებიან ნახევარ განაკვეთზე მუშაობას. ამიტომაცაა, რომ ქალები თავისი ცხოვრების ყველაზე პროდუქტიულ და აქტიურ ფაზაში არაპროდუქტიულები ხდებიან. დიასახლისი ქალები ოჯახის არჩევანით ნაწილობრივ კარგავენ პირად თავისუფლებას, საკუთარ უნარებს, სოციალურ პრესტიჟს. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა თავად ქალები არ ცდილობენ, მოიპოვონ თანამდებობა, ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რატომ ამბობენ ქალები ამაზე უარს? იმიტომ, რომ ისინი აღიზარდნენ ისეთ ოჯახში, სადაც ქალები არ ან/და ვერ აფასებენ თავიანთ შესაძლებლობებს.

განათლებამ მოზარდს უნდა განუვითაროს უნარი, რომ სწორად განავითაროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები. გამოუმუშაოს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევები. პიროვნება, რომელიც ასეთ უნარ-ჩვევებს ფლობს, ყოველთვის შეძლებს ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გაუმჯობესებასაც.

და ბოლოს, ცნობიერების ამაღლების კუთხით დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სხვადასხვა სახის ტრენინგებს, საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროექტებში მონაწილეობას, სადაც ორივე სქესის წარმომადგენლები კიდევ უფრო დარწმუნდებიან თავიანთ შესაძლებლობებში, გაუჩნდებათ თვითშეფასების, ურთიერთპატივისცემის გრძნობა, წაიშლება „დომინანტ-დამოკიდებულება“ ერთმანეთის მიმართ. ეს კი ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას როგორც სოციალურ, ასევე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ბიბლიოგრაფია:

მიქაძე, გურამი, *მერი უოლსტონკრაფტი*, http://ninoelbakidze12.blogspot.com/p/blog-page_22.html (ნახვა 01 მაისი 2020).

კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=8 (ნახვა 20 აპრილი 2019).

ცხადაძე, თამარ, „გენდერული უთანასწორობა, ჩაგვრა და სექსიზმი, ფემინიზმის აუცილებლობა“, თბილისი, EMC, 2014, გვ. 18-25.

საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“

http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Sakanonmdeblo/42.pdf (ნახვა 20 აპრილი 2019).